ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ანალიზი

ანგარიში

თბილისი

ივლისი 2014

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ანგარიში წარმოადგენს საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმის ანალიზს და ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ანგარიში მომზადდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

დოკუმენტი მოიცავს ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოკლე აღწერას, საქართველოს განათლების სისტემის აღწერას, საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს აღწერასა და შესაბამისობას ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, ანალიზის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებსა და შემდგომ ნაბიჯებს.

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი

2. ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო

3. საქართველოს განათლების სისტემა და კვალიფიკაციები.

   ზოგადი განათლება

   პროფესიული განათლება

   უმაღლესი განათლება

   ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

4. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციოს ჩარჩოს განვითარების ისტორია

5. საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისობა ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან

6. გამოწვევები და შემდგომი ნაბიჯები

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო (EQF)- უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის. ასევე იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ძირითადი მიზნებია ხელი შეუწყოს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობასა და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოიცავს რვა დონეს. დონეები მოიცავს კვალიფიკაციების სრულ შკალას (იერარქიას), (საწყისი დონე 1, მაგ.: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის სერტიფიკატი) უმაღლესი დონე 8, მაგ.: დოქტორანტურა). თითოეული დონე აღწერილია სწავლის შედეგების საფუძველზე, რომლებიც ჩაშლილია კომპონენტებად - ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დანიშნულებაა გახდეს ათვლის წერტილი ევროპის ქვეყნებისათვის საკუთარი სისტემების თვითშეფასებისას. თუმცა, ამავდროულად, იგი არ ინტერესდება ამა თუ იმ ქვეყნის განათლების პოლიტიკის, პრიორიტეტების, ინსტიტუციების სტრუქტურული ორგანიზებით და არ სთხოვს ქვეყნებს სისტემის მოწყობის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო ფორმალურად ძალაში შევიდა 2008 წლის 23 აპრილს, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, მას წინ უძღოდა 2004 წლიდან დაწყებული ევროპის წევრი ქვეყნების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განვითარებისა და კონსულტაციების პროცესი.

თვითშეფასების პროცესის ხელშესაწყობად, ევროპულმა კომისიამ შექმნა EQF -ის მრჩეველთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ექსპერტები მონაწილე ქვეყნებიდან. ჯგუფის მიზანი თვითშეფასების პროცესის განხორციელებაზე შეთანხმება იყო. ამ მიზნით, მრჩეველთა ჯგუფმა შეიმუშავა 10 კრიტერიუმი და პროცედურები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების თვითსერტიფიცირების პროცესისათვის.

დადგენილ იქნა, რომ ქვეყნებს ეროვნული კვალიფიკაციების სისტემა 2010 წელს უნდა დაეკავშირებინათ ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთვის. ასევე განისაზღვრა 2012 წელი რეკომენდირებულ თარიღად, როდესაც ქვეყნებს უნდა გაეანალიზებინათ საკუთარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში.

პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (Cedefop) 2012 წლის წლიურ ანგარიშში[1] წარმოდგენილია ევროპის 36 ქვეყანაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების განვითარების პროცესის ანალიზი. ანალიზის მიხედვით, ქვეყნების უმეტესობა კარგად აცნობიერებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მთავარ დანიშნულებას და განიხილავენ მათ, როგორც დამხმარე, ადვილად აღსაქმელ და გამოსაყენებელ ინსტრუმენტს სწავლის მსურველთათვის და დამსაქმებელთათვის.

[1] CEDEFOP- European Centre for the Development of Vocational Training. Analysis and overview of NQF level descriptors in European countries

თუმცა, ზოგი ქვეყანა ჩარჩოს დანიშნულებას ხედავს, როგორც სისტემის რეფორმირების ინსტრუმენტს და იყენებს მას ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილების გასაცნობად. ყველა ქვეყანა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურების აღსაწერად იყენებს სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომას.

ანალიზის პერიოდისათვის, სულ განვითარებული იყო 36 ქვეყნის (ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა ითვალისწინებდა დამოუკიდებელი ჩარჩოების არსებობას, მაგ.: ბელგია და დიდი ბრიტანეთი) 40 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო˜. აქედან, 29 ქვეყანას აქვს განვითარებული სრულყოფილი ჩარჩოები, რომლებიც მოიცავენ ყველა ტიპისა და დონის კვალიფიკაციებს. 8 ქვეყანას (ჩეხოსლოვაკია, ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, შვეიცარია, სერბია, საფრანგეთი, იტალია, ლიხტენშტეინი) აქვს ნაწილობრივ განვითარებული ჩარჩოები, რომლებშიც აღწერილია კვალიფიკაციების შეზღუდული სპექტრი ან აქვთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედი ჩარჩოები. 27 ქვეყანას აქვს 8 დონიანი ჩარჩო. დანარჩენი ქვეყნების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები მოიცავს ან 5,7,9,10 ან 12 დონეს; 24 ქვეყნის ჩარჩო იფიციალურად დამტკიცებულია; 4 ქვეყანას აქვს სრულად ამოქმედებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ხოლო 10 ქვეყანა მისი ამოქმედების საწყის ეტაპზეა.

2. საქართველოს განათლების სისტემა და კვალიფიკაციები

საქართველოს განათლების სისტემის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: ზოგადი განათლება; პროფესიული განათლება და უმაღლესი აკადემიური განათლება. განათლების სისტემა რეგულირდება: საქართველოს კონსტიტუციით; „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით; „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით და წარმოდგენილი კანონების შესაბამისი ქვემდებარე აქტებით.

საქართველოს განათლების სისტემა



ზოგადი განათლება

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ზოგადი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“(2010); ეროვნულ სასწავლო გეგმა 2011-2016-ით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელისშეწყობა.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I-VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება VII-IX კლასებში და დასტურდება საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით - ატესტატით; საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება X-XII კლასებში და დასტურდება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით - ატესტატით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. საბაზო სკოლის ატესტატი დაშვების სავალდებულო წინაპირობაა ზოგადი განათლების საშუალო და პროფესიული განათლების საწყის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, საშუალო სკოლის ატესტატი კი სავალდებულოა უმაღლესი განათლების მისაღებად. სკოლის საატესტატო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შედეგზე ორიენტირებული, მოსწავლეზე გათვლილი განათლების სისტემის კონცეფციას. სტრუქტურულად მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას, საგნობრივ პროგრამებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების I-II-III საფეხურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. 2014 წლის ივლისის თვის მონაცემებით 10 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს.

ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2014 წლის ივლისის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 2087 საჯარო და 285 კერძო სკოლა.

ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული გ ზები

ექსტერნატი – საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულია, როგორც „იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები“.

საქართველოს კანონის -„ზოგადი განათლების შესახებ“- მიხედვით ყველა მოსწავლეს, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს, აგრეთვე სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეებს, ზოგადი განათლების მიღება შეუძლიათ ექსტერნატის ფორმით, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევისა და სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. ექსტერნატის პირობები განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უფლება აქვს ჩაირიცხოს სკოლაში ან გააგრძელოს სწავლა ექსტერნატის ფორმით, გამოცდების ჩაბარების გარეშე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, ასაკის შესაბამის საფეხურზე, შესაბამის კლასში ან მაქსიმუმ ორი კლასის ქვემოთ.

პროფესიული განათლება

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით: საქართველოს კანონებით „პროფესიული განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“(2010); დებულებით- „ეროვნული პროფესიული საბჭოს შესახებ“ (2009); ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (2010); ბრძანებით - „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ (2011); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№121/ნ (2010) - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№152/ნ(2013) „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ , საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით (№300/2013) - „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-20120) დამტკიცების შესახებ“.
საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ განსაზღვრავს პროფესიული განათლების შემდეგ მიზნებს: ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა; ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ

თვითდასაქმების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლების სახეებია - ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლება. პროფესიული განათლება ხორციელდება პროფესიული განათლების ხუთ საფეხურზე.

საქართველოში ფორმალური პროფესიული განათლება განხორციელება პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში.

პროფესიული კოლეჯი ახორციელებს პირველ, მეორე და მესამე საფეხურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო საზოგადოებრივი კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების ხუთივე საფეხური.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება შესაძლებელია პროფესიული განათლების მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე. არაფორმალური განათლების აღიარებას ახდენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება

პროფესიულ განათლებაში დაშვების წინაპირობები

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კვალიფიკაცია სტუდენტს აძლევს უფლებას სწავლა განაგრძოს პროფესიული განათლების I- II– III საფეხურის საგნმანათლებლო პროგრამებზე. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში 2013 წლის ივნისის თვეში შეტანილი ცვლილების თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველ (საწყის) საფეხურზე სწავლის მსურველმა უნდა გაიარონ პროფესიული ტესტირება, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. პროფესიული ტესტირება სავალდებულოა სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლებისათვის და დაკავშირებულია სტუდენტისათვის სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებასთან. პროფესიული განათლების კანონში ზემოთ წარმოდგენილი ცვლილების შეტანამდე პროფესიული განათლების I- II – III საფეხურებზე სწავლის მსურველთა დაშვება ყოველგვარი გამოცდების გარეშე ხდებოდა, თუმცა IV და V საფეხურებზე დასაშვებად სავალდებულო იყო ერთიანი ეროვნული გამოცდის ზოგადი უნარების ტესტის მინიმალური ზღვარის გადალახვა.

პროფესიული განათლების ყოველ მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობაა წინა საფეხურის პროგრამის გავლა და პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

პროფესიული განათლების სისტემაში დღემდე მოუგვარებელია პრობლემა - პროფესიული განათლების სტუდენტი, რომელსაც არ აქვს სრული ზოგადი განათლება, ვერ აგრძელებს სწავლას აკადემიურ პროგრამებზე.

პროფესიული სტანდარტი

პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს პროფესიულ სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია ECTS-ით - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემით. კრედიტების განაწილება ხდება პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს, როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკის კომპონენტს.

დღეისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 89 პროფესიული, 29 უმაღლესი და 12 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

მონაწილეობითი მმართველობა პროფესიულ განათლებაში

მონაწილეობითი მმართველობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა ეროვნული პროფესიული საბჭო (2009). საბჭოს დაარსების მიზანია "სოციალური პარტნიორების – სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის კოორდინაცია". საბჭოს შემადგენლობის დიდი წილი სამთავრობო სექტორების წარმომადგენლებზე მოდის (24 წევრიდან 11).

ეროვნული პროფესიული საბჭოს ინიციატივით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულების 7 თემატური სამუშაო ჯგუფი:

1. პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა სისტემა; 2. ხარისხის განვითარება პროფესიული განათლების სფეროში; 3. პარტნიორობა პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში; 4. პროფესიული განათლებისა და მომზადების მონიტორინგის სისტემა; 5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; 6. პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსება; 7. კარიერის დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაცია.

უმაღლესი განათლება

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ" ; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"(2010) და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

- ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფა და ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეებია: უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯი.

უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ახორციელებს. ,

სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამას და ასევე პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული კვალიფიკაციის, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამას.

უმაღლესი განათლების დაწესებულებების უფლებამოსილები არიან განახორციელონ პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

უმაღლესი განათლების საფეხურები :

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური ბაკალავრიატი. საბაკალავრო პროგრამის მინიმალური მოცულობა 240 კრედიტია და სრულდება შესაბამის მიმართულებაში ან/და დარგი/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

ბაკალავრიატის ფარგლებში შესაძლებელია მოკლე ციკლის პროგრამების განხოციელება (არანაკლებ 120 კრედიტი), რომელიც სრულდება შესაბამის მიმართულებაში ან/და დარგი/სპეციალობაში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭებით.

ბაკალავრიატის ფარგლებში ან დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ხორციელდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა. სამაგისტრო პროგრამის მინიმალური მოცულობა 120 კრედიტია და სრულდება შესაბამის მიმართულებაში, /დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტიანი, ისწავლება პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. პროგრამის გავლა სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა. სადოქტორო პროგრამის მინიმალური მოცულოა 180 კრედიტია, რომელიც სრულდება მიმართულებაში ან/და დარგი/სპეციალობაში დოქტორის ხარისხის მინიჭებით.

სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროები

უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ადგენს სამი მიმართულების (სამართალი, მედიცინა, მასწავლებლის განათლება) რეგულირებად პროფესიებს.

თითოეული მიმართულებით შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებელის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული მიმართულების ან დარგის/სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს შესაბამისი განათლების საფეხურების გათვალისწინებით. დარგობრივი დოკუმენტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი.

სამართლის, მედიცინის, მასწავლებლის განათლების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში.

უმაღლეს განათლებაში დაშვების პირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) ან პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის პროგრამაზე დაშვება ხორციელდება სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების, ხოლო მეორე საფეხურის პროგრამაზე – ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ შემთხვევაში.

ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედებს 2010 წლის 1 სექტემბრიდან და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის გარე და შიდა მექანიზმებს. გარე მექანიზმებია- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, ხოლო შიდა მექანიზმია- საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელება.

ხარისხის განვითარების მექანიზმების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ავტორიზაცია - ავტორიზაციის სტანდატების დაკმაყოფილების გზით ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებენ ცენტრის მიერ შერჩეული ექსპერტები, ხოლო გადაწყვეტილებას ავტორიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ იღებენ ზოგადი , უმაღლესი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოები, რომელთა შემადგენლობასაც ერთი წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ავტორიზაცია ხუთი წლის განმავლობაშია ვალიდური.

აკრედიტაცია - აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურაა. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებენ ცენტრის მიერ შერჩეული აკრედიტაციის ექსპერტები, ხოლო გადაწყვეტილებას, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, იღებს აკრედიტაციის საბჭო, რომელსაც ერთი წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აკრედიტაცია ხუთი წლის განმავლობაშია ვალიდური.

ყოველწლიური თვითშეფასება - სახელმწიფოს მიერ აღიარებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ყოველწლიურად ცენტრში წარადგინოს შევსებული ყოველწლიური თვითშეფასების ფორმა. ცენტრი უფლებამოსილია ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე შეამოწმოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის სტანდარტს ან საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს -საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დააყენოს საკითხი ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

2013 წელს, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის პროგრამის ფარგლებში, მომზადდა - უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტი[2]. ანალიზის დოკუმენტი დეტალურად წარმოადგენს დღეს მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაკლოვან მხარეებს და იძლევა დეტალურ რეკომენდაციებს უფრო ეფექტური, სამართლიანი, გამჭირვალე და კვალიფიციური სისტემის შესაქმნელად. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013-2017 სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია წარმოდგენილი რეკომენდაციები და ამ მიმართლებით დაწყებულია კონკრეტული ნაბიჯების განხორციელება.

3. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციოს ჩარჩოს განვითარების ისტორია

2005 წელს, ბერგენის სამიტზე, 40 ქვეყნის უმაღლესი განათლების მინისტრებმა და საერთშორისო ორგანიზაციებმა, საქართველო ბოლონიის პროცესის ქვეყნად აღიარეს. საქართველომ აიღო საკუთარი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობისა და რეგულირების ვალდებულება ბოლონიის პროცესიის პრინციპების გათვალისწინებით,.

ბოლონიის პროცესი - ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის, რომლის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმების, მობილობის გაძლიერება და ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

ბოლონიის პროცესი ნებაყოფლობითია და დღეისათვის ევროპის 46 ქვეყანაა ჩართული. .

2002 წლის 30 ნოემბერს ევროკომისიისა და ევროპის 30 ქვეყნის პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების მიერ მიღებული იქნა დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ (კოპენჰაგენის დეკლარაცია), რომელიც ქმნის საფუძველს ევროპაში ერთიანი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარებისათვის. კოპენჰაგენის პროცესში მონაწილეობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ევროპის 33 ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის პროცესის მონაწილე, ეს ფაქტი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან დაახლოება.

2007 წელს, საქართველოს განათლების სფეროს მარეგულირებელ სამ კანონში (საქართველოს კანონები ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების შესახებ), ცვლილების შეტანით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება უკვე საკანონმდებლო ნორმად გადაიქცა.

2007-2009 წლებში საქართველოში მომზადდა უმაღლესი და პროფესიული განათლების კვალიფიკაციების დამოუკიდებელი ჩარჩოების პროექტები.

[2] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით, IV - ხარისხის უზრუნველყოფა, ექსპერტი - ირინე დარჩია
თბილისი 2013განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა დამართვის საერთაშორისო ინსტიტუტი The International Institute for EducationPolicy, Planning and Management HESP

2007 წელის შემოდგომაზე მომზადდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტი, რომელიც ეყრდნობოდა კვალიფიკაციების სტრუქტურას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის, აღწერდა კვალიფიკაციებს დუბლინის დესკრიპტორის 5 კრიტერიუმის საფუძველზე: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, არგუმენტირებული დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი. ჩარჩოს შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2007 წელს ETF - ის (ევროპის განათლების ფონდი) პროექტის ფარგლებში, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საქართველოს ფილიალის კოორდინირებით შემუშავდა, საწყისი ეტაპისათვის, პროფესიული განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტი. პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის დახვეწის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის იანვარს შეიქმნა სახელმწიფო ორგანო, ეროვნული პროფესიული სააგენტო, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პროექტის დახვეწა, დამტკიცება და მისი რეალური განვითარება. შემუშავდა დროში გაწერილი სამუშაო გეგმა, რომელიც 2009 წლისთვის ითვალისწინებდა პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცებას. იმ პერიოდისთვის დოკუმენტის დამტკიცება და შესაბამისად მისი განხორციელება ვერ მოხერხდა, ვინაიდან, 2008 წლის დეკემბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, გაუქმებულ იქნა ეროვნული პროფესიული სააგენტო.

ვინაიდან 2007-2008 წლებში შემუშავებულ უმაღლეს და პროფესიულ საკვალიფიკაციო ჩარჩოების დოკუმენტებს არ მიუღიათ ნორმატიული აქტის ფორმა, მათი ამოქმედება არ განხორციელებულა.

2009 წელს განახლდა მუშაობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოსამზადებლად. ჩარჩოს შემუშავებას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრებიზოგად,უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, დარგობრივ ასოციაციებთან და პროფესიულ გაერთიანებებთან; საქართველოში მოქმედი დარგების ექპერტებთნ და სპეციალისტებთნ; ადგილობრივ შრომის ბაზრის წარმომადგენლებთნ. გადაწყდა შემუშავებულიყო ერთიანი ჩარჩო, რომელიც ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლების კვალიფიკაციებს ერთიანად აღწერდა. მუშაობისას გათვალისწინებული იყო 2007 – 2008 წლებში მომზადებული პროფესიული და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოების პროექტები. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წერილობით მიეწოდებინათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მოსაზრებები. ცენტრში,ამ საკითხთან დაკავშირებით, ასობით წერილი შემოვიდა, თითოეული წერილი დეტალურად იქნა განხილული, მოწოდებული წინადადებები კი - შეჯერებული და გათვალისწინებული.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ოფიციალურ დოკუმენტად მიღებულ იქნა 2010 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ჩარჩო წარმოადგენს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო წარმოადგენს რეკომენდაციების ერთიან სისტემას, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა საფეხურისა და ტიპის კვალიფიკაციებს იერარქიულად, ყველაზე

დაბლიდან უმაღლესამდე. ჩარჩო იძლევა საშუალებას საქართველოს კვალიფიკაციების დაკავშირებას იმ ქვეყნების კვალიფიკაციებთან, რომლებშიც მოქმედებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიზანია - მოსწავლეზე, პროფესიულ სტუდენტზე, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბება; საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება; სწავლის მსურველისა და დასაქმებულთათვის მობილობის პროცესის ხელშეწყობა და ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (The European Qualifications Framework for Lifelong Learning - LLL) გათვალისწინებული მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უზრუნველყოფა.

ეროვნული ჩარჩო ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მსგავსად მოიცავს 8 საფეხურს.

EQF ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო	NQF საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
1	1
2	2
3	3
4	4
5	5
6	6
7	7
8	8

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურები აღწერილია სწავლის შედეგებით. თითოეული საფეხურის სწავლის შედეგები გაწერილია 6 კომპონენტის („ცოდნა“, „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება“, „დასკვნის უნარი“, „კომუნიკაციის უნარი“, „სწავლის უნარი“, „ღირებულებები“) მიხედვით. კომპონენტების გაწერისას გათვალისწინებული იყო დუბლინის დესკრიპტორების კომპონენტები, რომლებსაც დაემატა „ღირებულების“ კომპონენტი.

წარმოდგენლ დოკუმენტზე მუშაობისას სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის მნიშვნელოვანი განსჯის საკითხი იყო „ღირებულების“ კომპონენტის საკითხი, ვინაიდან რთულია ღირებულების გაზომვა. ჯგუფის წევრთა უმრავლესობა მიემხრო მოსაზრებას - ჩარჩოს სწავლის შედეგების აღწერა მოხდეს დუბლინის დესკრიპტორების 5 კომპონენტით. ასევე შემოთავაზებული იყო ევროპული ჩარჩოს სამი კომპონენტი (ცოდნა, უნარი, კომპეტენცია), რომლის შემთხვევაშიც „კომპეტენციის“ კომპონენტში გაერთიანდებოდა „დასკვნის უნარი“, „კომუნიკაციის უნარი“, „კომუნიკაციის უნარი“, „სწავლის უნარი“ და „ღირებულებები“. შედარების მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციათა აღწერილობა.

ქვეყანა	კვალიფიკაციათა აღმწერის/დესკრიპტორი
გერმანია	ცოდნ ცოდნა; უნარი; სოციალური კომპეტენციები; ავტონომია
მალტა	ცოდნა და გაგება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ავტონომია და პასუხისმგებლობა
ლატვია	ცოდნა და გაგება; უანრები, რომლებიც მოიცავს ცოდნის ათვისების, კომუნიკაციებისა და ზოგად უნარებს; კომპეტენცია, რომელიც მოიცავს ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას.
ესტონეთი	ცოდნა; შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომია
ლიტვა	დონეების მახასიათებლები განისაზღვრება ორი პარამეტრის მიხედვით: 1.საქმიანობის მახასიათებლები (საქმიანობის სირთულე, საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხი, საქმიანობის ცვალებადობა) 2. კომპეტენციების ტიპები (ფუნქციური , შემეცნებითი , ზოგადი კომპეტენციები)
ბულგარეთი	ცოდნა (თეორიული ან/და ფაქტობრივი); უნარი (შემეცნებითი და პრაქტიკული); კომპეტენცია (ავტონომია და პასუხისმგებლობა; სწავლის კომპეტენცია; საკომუნიკაციო და სოციალური კომპეტენცია; პროფესიული კომპეტენცია)
ხორვატია	ცოდნა (ფაქტობრივი, თეორიული); უნარი (შემეცნებითი, პრაქტიკული და სოციალური); ავტონომია და პასუხისმგებლობა.
ავსტრია -	ცოდნა (ფაქტობრივი ან/და თეორიული); უნარები (შემეცნებითი და პრაქტიკული); კომპეტენცია (ავტონომია და პასუხისმგებლობა)
ჩრდილოეთ ირლანდია	ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ავტონომია და ანგარიშვალდებულება.
შოტლანდია	ცოდნა და გაგება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ძირითადი შემეცნებითი უნარები.
უელსი	ცოდნა და გაგება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ; ავტონომია და პასუხისმგებლობა
ლუქსენბურგი	ცოდნა; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; ავტონომია და პასუხისმგებლობა.
კვიპროსი	ცოდნა; უნარი; კომპეტენცია
დანია	ცოდნა; უნარი; კომპეტენცია
ფინეთი	ცოდნა; მუშაობის მეთოდი და გამოყენება (უნარები); პასუხისმგებლობა, მენეჯმენტი და მეწარმოება; შეფასება; სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ძირითადი უნარები.
საბერძნეთი	ცოდნა (ფაქტობრივი ან/და თეორიული); უნარი (შემეცნებითი და პრაქტიკული); კომპეტენცია (ავტონომია და პასუხისმგებლობა)
უნგრეთი	ცოდნა; უნარი და შესაძლებლობა; დამოკიდებულება; ავტონომია და პასუხისმგებლობა
ისლანდია	ცოდნა; უნარი; კომპეტენცია
ირლანდია	ცოდნა; გამოცდილება და უნარი ; კომპეტენცია (კონტექსტი, როლი, სწავლის სწავლა, საკითხის არსში გარკვევა)
ლუქსენბურგი	ცოდნისა და შესრულების უნარი; დამოკიდებულებები
ინგლისი	ცოდნა და გაგება (გაცნობიერება); გამოყენება და მოქმედება; დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა

შოტლანდია	ცოდნა და გაგება; ცოდნისა და გაგების პრაქტიკაში გამოყენება; ძირითადი შემეცნებითი უნარები; საკომუნიკაციო, საინფორმაციო ტექნოლოგიების???? და რაოდენობრივი აზროვნების უნარები; დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და სხვებთან მუშაობა.
ნიდერლანდები	ცოდნა; უნარი (ცოდნის გამოყენება; პრობლემების გადაჭრის უნარი, სწავლისა და განვითარების უნარი); საინფორმაციო უნარი (ინფორმაციის მიღება, შეგროვება, დამუშავება, დაკავშირება, ანალიზი და შეფასება); კომუნიკაციის უნარი; პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა.
ნორვეგია	ცოდნა (თეორიული და პრაქტიკული, ცოდნის კონტექსტუალიზაცია); უნარი (შემეცნებითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია); ზოგადი კომპეტენციები (წინასწარ განსაზღვრულ და ცვალებად სიტუაციებში მოქმედება, თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა, საკუთარი სწავლის კომპეტენციების განვითარება).
პოლონეთი	ცოდნა; უნარი; სოციალური კომპეტენცია.
პოროტუგალია	ცოდნა (ფაქტები, პრინციპები, თეორია, პრაქტიკა); უნარი (შემეცნებითი, პრაქტიკული); დამოკიდებულება (დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა);
რუმინეთი	ცოდნა; შესაძლებლობა; გამჭოლი კომპეტენციები.
სლოვაკეთი	ცოდნა; უნარი; კომპეტენცია.
სლოვენია	ცოდნა; უნარი; კომპეტენცია.
ესპანეთი	ცოდნა (თეორიული ან/და პრაქტიკული); უნარი და შესაძლებლობა (შემეცნებითი და პრაქტიკული); კომპეტენცია (დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა).
შვეცია	ცოდნა (თეორიული, პრაქტიკული); უნარი (ამოცანის შესრულება, პრობლემის გადაჭრა); კომპეტენცია (პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა).
თურქეთი	ცოდნა, უნარი, კომპეტენცია.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტი შედგება 5 დანართისგან:

დანართი №1- ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო;

დანართი №2 - პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო;

დანართი №3- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო;

დანართი №4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი;

დანართი№5 - კვალიფიკაციის ფორმირების წესი.

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში (დანართი 1) სისტემატიზებულია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციები.

ჩარჩოში წარმოდგენილია ზოგადი განათლების ჩარჩოს მიზნები, ზოგადი განათლების სისტემის მოკლე აღწერა და კვალიფიკაციათა აღმწერი, რომელიც 6 კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) მიხედვით აღწერს საბაზო და საშუალო განათლების სწავლის შედეგებს.

ჩარჩოს მიხედვით ზოგადი განათლების კვალიფიკაციებია:

- საბაზო საფეხურის კვალიფიკაცია, რომელიც ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების პროგრამების დაძლევით მიღწეული სწავლის შედეგებს გულისხმობს და დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით.
- სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც ზოგადი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების დაძლევით მიღწეული სწავლის შედეგებს გულისხმობს და დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით.

პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში (დანართი 2) სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციები.

ჩარჩოში წარმოდგენილია პროფესიული განათლების ჩარჩოს მიზნები, პროფესიული განათლების სისტემის მოკლე აღწერა და კვალიფიკაციათა აღმწერი, რომელიც 6 კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) მიხედვით აღწერს პროფესიული განათლების სწავლის შედეგებს პროფესიული განათლების 5 საფეხურზე.

ჩარჩოს მიხედვით პროფესიული განათლების კვალიფიკაციებია:

- პროფესიული განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველ საფეხურზე, გულისხმობს პროფესიული განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით მიღწეულ სწავლის შედეგებს და დასტურდება პროფესიული დიპლომით;
- პროფესიული განათლების მეორე საფეხურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე საფეხურზე, გულისხმობს პროფესიული განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით მიღწეულ სწავლის შედეგებს და დასტურდება პროფესიული დიპლომით;
- პროფესიული განათლების მესამე საფეხურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე საფეხურზე, გულისხმობს პროფესიული განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით მიღწეულ სწავლის შედეგებს და დასტურდება პროფესიული დიპლომით;
- პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე საფეხურზე, გულისხმობს პროფესიული განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით მიღწეულ სწავლის შედეგებს და დასტურდება პროფესიული დიპლომით;
- პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე საფეხურზე, გულისხმობს პროფესიული განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით მიღწეულ სწავლის შედეგებს და დასტურდება პროფესიული დიპლომით;

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში (დანართი 3) სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი (აკადემიური) განათლების კვალიფიკაციები.

ჩარჩოში წარმოდგენილია უმაღლესი განათლების ჩარჩოს მიზნები, უმაღლესი განათლების სისტემის მოკლე აღწერა და კვალიფიკაციათა აღმწერი, რომელიც 6 კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) მიხედვით აღწერს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) და მის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის, მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) და მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) სწავლის შედეგებს

ჩარჩოს მიხედვით უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებია:

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის შუალედური კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე საფეხურზე;
- უმაღლესი განათლების სრული პირველი საფეხურის ბაკალავრიატის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე საფეხურზე;
- უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მაგისტრატურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე საფეხურზე;
- უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის დოქტორანტურის კვალიფიკაცია აღწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე საფეხურზე;

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურები	განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაციები
1	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი
	პროფესიული განათლების 1 საფეხური	პროფესიული დიპლომი
2	პროფესიული განათლების 2 საფეხური	პროფესიული დიპლომი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური	ზოგადი განათლების საშულო საფეხურის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი-?
	პროფესიული განათლების 3 საფეხური	პროფესიული დიპლომი
4	პროფესიული განათლების 4 საფეხური	პროფესიული დიპლომი
5	მოკლე ციკლი	შუალედური კვალიფიკაცია
	პროფესიული განათლების 5 საფეხური	პროფესიული დიპლომი

6	ბაკალავრიატი	ბაკალავრის დიპლომი
7	მაგისტრატურა	მაგისტრის დიპლომი
8	დოქტორანტურა	დოქტორის დიპლომი

საფეხურების სწავლის შედეგები იერარქიულადაა განლაგებული, ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციის საფუძველზე დამატებითი კომპეტენციის განვითარებას.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორია პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის არსებული ბარიერი, ეგრეთწოდებული „საგანმანათლებლო ჩიხი“, რადგან პროფესიული განათლების საფეხურიდან შეზღუდულია აღმავალი მობილობა სისტემის მომდევნო, აკადემიურ საფეხურებზე. პროფესიული განათლების სტუდენტები, რომელსაც არ აქვს სრული ზოგადი განათლება, ვერ აგრძელებენ სწავლას განათლების მომდევნო, უფრო მაღალ საფეხურზე და არ ხდება პროფესიულ განათლებაში მიღებული კრედიტების აღიარება აკადემიურ საფეხურზე.

მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი (დანართი 4) წარმოდგენილია ცხრილის სახით, რომელშიც სისტემატიზირებულია საქართველოსი მოქმედი პროფესიულ და უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები.

მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია

მიმართულების სვეტში წარმოდგენილია დოქტორანტურაში მისანიჭებელი კვალიფიკაციები;
დარგის/სპეციალობის სვეტში წარმოდგენილია ბაკალავრიატში მისანიჭებელი კვალიფიკაციები;
ქვედარგის/სპეციალიზაციის სვეტში წარმოდგენილია მაგისტრატურაში მისანიჭებელი კვალიფიკაციები;
პროფესიული სპეციალიზაციის სვეტში წარმოდგენილია პროფესიულ განათლებაში მისანიჭებელი კვალიფიკაციები.
ჩარჩოთი განსაზღვრულია განათლების 10 მიმართულება და ასევე მიმართულებათშორისი დარგები.

კვალიფიკაციის ფორმირების წესი (დანართი 5) წარმოადგენს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში კვალიფიკაციის დამატების, შეცვლის და ამოღების მიზნით განსახორციელებელ პროცედურებს.

2014 წლის იანვრამდე ჩარჩოში კვალიფიკაციის ფორმირება დაკავშირებული იყო ავტორიზაციის, პროგრამული აკრედიტაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებების ყოველწლიური თვითშეფასების პროცედურებთან. ცენტრში შემოსულ ავტორიზაციის ან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განაცხადს თან ერთვოდა მოთხოვნა კვალიფიკაციის დამატების ან ცვლილების თაობაზე. ამ ორი პროცედურის პარალელურ რეჟიმში განხორციელება დაკავშირებული იყო ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილების მიღების რისკთან. ასევე, დღის წესრიგში დადგა დეტალური პროცედურის გაწერის საკითხი, რომელიც გულისხმობდა კვალიფიკაციის დამატების, შეცვლისა და ამოღების პროცედურაზე კონკრეტული ვადების დადგენაც.

2014 წლის იანვარში კვალიფიკაციის ფორმირების წესში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც კვალიფიკაციის დამატება, შეცვლა ან ამოღება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. განაცხადების წარმოდგენის ვადები და დეტალური პროცედურა განისაზღვრა ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურების შესაბამისობა EQF - თან

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო პირველ საფეხურზე აღწერს საშუალო განათლების საბაზო საფეხურის და პროფესიული განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებს.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო პირველი დონე:

	EQF დესკრიპტორები
ცოდნა	ძირითადი **საბაზო** ცოდნა.
უნარი	**მარტივი ამოცანების** შესასრულებლად საჭირო **ბაზისური უნარები**
კომპეტენცია	მუშაობა ან სწავლა **უშუალო ზედამხედველობით სტრუქტურირებულ კონტექსტში**

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხური

	საბაზო განათლების სწავლის შედეგები	**პროფესიული განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ძირითადი მეცნიერებების საფუძვლების **საბაზო ცოდნა.** აცნობიერებს მარტივი ყოფითი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს **მარტივი ამოცანების** შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება ყოფითი **მარტივი ამოცანების** შესასრულებლად.	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში **უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ** შეასრულოს **მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები** ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრაქტიკული და შემეცნებითი უნარების გამოყენებით ყოფითი **მარტივი პრობლემების გააზრება** და კავშირების დადგენა.	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი **მარტივი პრობლემების ამოცნობა.**
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ყოფით **მარტივ საკითხებზე** ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყებით საჭირო ინფორმაციის მოძიება, ასევე უცხოურ ენაზე აზრის გაგება და გადაცემა.	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ **მარტივ საკითხებზე** ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.
სწავლის უნარი	გააზრებული აქვს სიცოცხლის მანძილზე (უწყვეტი) სწავლის მნიშვნელობა და შეუძლია შემდგომი სწავლის შესახებ არჩევანის გაკეთება.	შეუძლია **სხვისი ხელმძღვანელობით** სწავლა.
ღირებულებები	პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის და საზოგადოების წინაშე.	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.

საერთო, ძირითად პრინციპს, ეროვნული და ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოების პირველი დონისათვის წარმოადგენს ის, რომ პიროვნებას, რომელიც ფლობს პირველი დონის განათლებას, მოსალოდნელია ჰქონდეს **საბაზისო** სწავლის შედეგები. ტერმინი -**„საბაზისო“** განსაზღვრულია როგორც **„მარტივი“**, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ფუნდამენტს, საწყის ათვლის წერტილს. პიროვნება, მოცემულ დონეზე ფლობს საბაზისო ცოდნას და იყენებს მას კონკრეტულ, მოცემულ (ნაცნობ) გარემოში მარტივი რუტინული ამოცანების გადასაწყვეტად, ხელმძღვანელის მითითებებითა და დირექტივებით. მოცემულ დონეზე პიროვნება არ იღებს სრულ პასუხისმგებლობას, ის იზიარებს პასუხისმგებლობას ხელმძღვანელთან ერთად.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხური აღწერს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია: *დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში; შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში; შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.*

ამ ამოცანების მისაღწევად ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში წარმოდგენილი პირველი საფეხურის სწავლის შედეგები, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს ხელმძღვანელის მითითებით მხოლოდ მარტივი რუტინული ამოცანების გადაწყვეტას, გაცილებით დაბალია ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ ამოცანებთან. არსებული რეალობიდან გამომდინარე, გადასახედია საბაზო განათლების შედეგების დაკავშირების საკითხი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველ საფეხურთან.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხური ასევე აღწერს პროფესიული განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებს, რომლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული იღებს პროფესიული განათლების პირველი საფეხურის დიპლომს, რაც უნდა უზრუნველყოფდეს შრომის ბაზარზე შესაფერის სამუშაო ადგილზე მის დასაქმებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სიტუაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ პირველი საფეხურის დიპლომის მფლობელი სპეციალისტები სწავლას აგრძელებენ პროფესიული განათლების მეორე საფეხურზე, ვინაიდან მათი დასაქმება შრომით ბაზარზე ვერ ხერხდება დაბალი კომპეტენციების გამო. არსებული რეალობიდან გამომდინარე, გადასახედია მოცემულ საფეხურზე პროფესიული განათლების დიპლომის მინიჭების საკითხი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ მიზნით, განახორციელა იმ პროფესიული სტანდარტების მოდიფიცირება, რომლებსაც ქონდათ პირველი საფეხური და მათი შედეგები ინტეგრირებულ იქნა მომდევნო საფეხურებში.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე საფეხური აღწერს პროფესიული განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებს.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე დონე:

	ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ცოდნა	სამუშაო ან სასწავლო დარგის ბაზისური ფაქტიური ცოდნა.
უნარი	ბაზისური კოგნიტური და პრაქტიკული უნარები, რომლების საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის, მარტივი წესებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ამოცანების განსახორციელებლად და რუტინული პრობლემების გადასაჭრელად
კომპეტენცია	მუშაობა ან სწავლა ზედამხედველობით, გარკვეული დამოუკიდებლობით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე საფეხური

	პროფესიული განათლების მეორე საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.

როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ნაჩვენებია შედეგების ეტაპობრივი ზრდა სირთულისკენ პირველ დონესთან შედარებით. ამ საფეხურზე ინდივიდს უნდა ჰქონდეს ფაქტობრივი ცოდნა, საბაზისო ცოდნის ნაცვლად. მას უნდა შეეძლოს შეაფასოს, შეარჩიოს და გარდაქმნას მიღებული ინფორმაცია შესაბამისად. გამოიყენოს ეს ინფორმაცია უნარების დემონსტრირებისას. განსხვავებით პირველი საფეხურისა ინდივიდი კომპეტენტურია მისთვის უცნობ გარემოში და გადასაწყვეტი ამოცანებიც არ არის მარტივი და რუტინული. ინდივიდი მთელი პროცესის განმავლობაში ხელმძღვანელის ზედამხედველობისა და მონიტორინგის ქვეშაა, თუმცა პირველი საფეხურისაგან განსხვავებით, ის არ მიჰყვება ხელმძღვანელის მითითებებსა და დირექტივებს. მეორე საფეხურზე პიროვნება ასრულებს წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებს

დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით. ამ დონეზე იგი არ არის პასუხისმგებელი ამოცანის შესრულების ხარისხობრივ ასპექტებზე, ამ პასუხისმგებლობას იღებს ხელმძღვანელი, რომელსაც უფრო მაღალი დონის კომპეტენცია გააჩნია.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე დონეზეა აღწერილი პროფესიული განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგები, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთვრებული იღებს პროფესიული განათლების მეორე საფეხურის დიპლომს, რაც უნდა უზრუნველყოფდეს შრომის ბაზარზე შესაფერისი სამუშაო ადგილზე მის დასაქმებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებში სიტუაციის შესწავლისას აღმოჩნდა, პირველი საფეხურის მსგავსად, თანამედროვე დასაქმების ბაზარი ვერ უზრუნველყოფს მეორე საფეხურის დიპლომირებული სპეციალისტის დასაქმებას, რის შედეგადაც სპეციალისტი რჩება ერთადერთი არჩევანის წინაშე, განაგრძოს სწავლა პროფესიული განათლების მესამე საფეხურზე. არსებული რეალობიდან გამომდინარე, გადასახედია მოცემულ საფეხურზე პროფესიული განათლების დიპლომის მინიჭების საკითხი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატიით, განხორციელდა იმ პროფესიული სტანდარტების მოდიფიცირებაც, რომლებიც მეორე საფეხურის განათლებას ითვალისწინებდნენ და მისი შედეგები ინტეგრირდა მესამე საფეხურში.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მასამე საფეხური აღწერს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის წავლის შედეგებს და პროფესიული განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებს.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს -მესამე დონე

ცოდნა	**ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი ცნებების ცოდნ**ა, სამუშაო ან სასწავლო დარგში.
უნარი	**კოგნიტური და პრაქტიკული უნარების სპექტრი**, რომელიც საჭიროა ამოცანების შესასრულებლად და პრობლემების გადასაჭრელად **ბაზისური მეთოდების, ინსტრუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის შერჩევითა და გამოყენებით**.
კომპეტენცია	სამუშაოზე ან სწავლისას ამოცანების შესასრულებლად **პასუხისმგებლობის აღება.** პრობლემების გადაჭრისას **საკუთარი ქცევის მისადაგება გარემოებებზე.**

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს -მესამე დონე

	საშუალო განათლება	**პროფესიული განათლების მესამე საფეხური**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ძირითადი მეცნიერებებისათვის / სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და კონცეფციების ზოგადი ცოდნა. აცნობიერებს გართულებული (ყოფითი / პროფესიული) ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია გამოიყენოს შემოქმედებითი და პრაქტიკული / დარგის სპეციფიკაციისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს ამოცანების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები / ინსტრუმენტები / მასალები.	შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი მოძიება შეფასება და ანალიზი	შეუძლია განსხვავებულსიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ზოგად / პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

ღირებულებები	გათავისებული აქვს ზოგადსაკაცობრიო / პროფესიული საქმიანობიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და **განსხვავებულ სიტუაციებში** მოქმედებს მათ შესაბამისად.	**განსხვავებულ სიტუაციებში** მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი და მეორე საფეხური დაკავშირებულია სავალდებულო განათლების დასრულებასთან. მესამე საფეხური იძლევა დაშვებას განათლების შემდგომ უფრო მაღალ საფეხურზე. ამიტომ ძირითადი უნარები გაცილებით მაღალი დონისაა, ვიდრე ეს ინდივიდს მოეთხოვებოდა განათლების წინა საფეხურებზე. პიროვნებას შუძლია გამოიყენოს შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრი, შეუძლია რთული ინსტრუქციების გაგება, ამოცანის გადასაჭრელად სხვადასხვა მიდგომების და საშუალებების შერჩევა, ავლენს პრობლემათა გადაჭრის უნარებს. ამ დონეზე, მას შეუძლია უფრო რთული და კომპლექსური ინფორმაციის კომუნიკაცია. წინა დონეზე, თუ ინდივიდი მოქმედებდა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, მოცემულ დონეზე სწრაფად გადასაჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად იგი ავლენს საკუთარ ინიციატივებს. ასევე შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე საფეხური აღწერს სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმის თანახმად, საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია: *შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად; დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად); მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.* წარმოდგენილი ფორმულირებით, სრული ზოგადი განათლების ძირითადი ამოცანები ვერ ასახავს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში საშუალო საფეხურის საგნობრივი კომპეტენციებით, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეს აქვს ფაქტობრივი და თეორიული ასპექტების ფართო ცოდნა, კვლევისა და ანალიზის მაღალი უნარები. (თვითონ ესგ-ს მიზნებიც ძალიან მაღალია - ლამის დოქტორანტურის დონეა. ესეც გადასახედია. ანალიზში უნდა იყოს, რომ როცა ესგ იწერებოდა, ჩარჩო არ არსებობდა და ამიტომ, სწორება ჩარჩოზე ვერ იქნებოდა. ახლა მიზნები უფრო რაციონალურად უნდა განისაზღვროს ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისად.)

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს უფრო მაღალ დონეს უთანაბრდება და სასურველია მისი განთავსება ჩარჩოს მომდევნო, მეოთხე დონეზე.

პროფესიული განათლების მესამე საფეხური ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე დონეზეა განთავსებული. პროფესიული განათლების მესამე საფეხურის კურსდამთავრებული, წინა საფეხურისაგან განსხვავებით დამოუკიდებლად ასრულებს საკუთრ მოვალეობას, აქვს უნარების ფართო სპექტრი და საქმიანობისას იყენებს შესაფერის მეთოდებს, ინსტრუმენტებსა და მასალებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებში სიტუაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მესამე საფეხურის დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია მოთხოვნადია შრომის ბაზარზე.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე საფეხური აღწერს პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის წავლის შედეგებს

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დონე

ცოდნა	**ფაქტიური და თეორიული ცოდნა ფართო კონტექსტებში** სამუშაო ან სასწავლო დარგში.
უნარი	**კოგნიტური და პრაქტიკული უნარების სპექტრი,** რომელიც საჭიროა სამუშაო ან სასწავლო დარგში არსებულ **სპეციფიურ პრობლემათა გადაწყვეტების ფორმირებისათვის**, ჩვეულებრივ პროგნოზირებადი, **თუმცა ცვლილებებს დაქვემდებარებული** სამუშაო ან სასწავლო კონტექსტების სამოქმედო პრინციპების ფარგლებში **თვით-მენეჯმენტის განხორციელება.**
კომპეტენცია	**სხვების რუტინული სამუშაოს ზედამხედველობა,** სამუშაო ან სასწავლო აქტივობათა შეფასებასა და **გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღებით.**

საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე საფეხური

	პროფესიული განათლების მეოთხე საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს **სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა**, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, **შეიმუშაოს სტრატეგია** წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და **შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.**
დასკვნის უნარი	შეუძლია **სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა** და მიღებული შედეგის ანალიზი
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე **ცვალებად სიტუაციებში.** შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული **ინფორმაციის დამუშავება.**
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა **ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.**

ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და **ცვალებად სიტუაციებში** მოქმედებს მათ შესაბამისად.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დონეზე ინდივიდის თეორიული ცოდნა გაფართოებულია და მას შეუძლია ცოდნის გაანალიზება და პრინციპების დადგენა და პროცედურების გამოყენება ფართო კონტექსტში. პროგრესი ამ დონეზე გამოირჩევა ცოდნითა და გამოცდილებით, და ტექნიკური თუ აკადემიური უნარების სპექტრის გამოყენებით, სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი კონცეპტების შემოტანით, და შემსწავლელის როლის - დამკვირვებლის როლის შეცვლით. თუკი წინა დონეზე ინდივიდი დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი იყო საკუთარი მოქმედებების შეზღუდულ რაოდენობაზე ამ დონეს შემოაქვს პასუხისმგებლობა საკუთარ და სხვათა კომპეტენციების ფართო სპექტრზე და გადაწყვეტათა უზრუნველყოფაზე. ინდივიდი პასუხისმგებელია საკუთარი ამოცანების ეფექტიანად განხორციელებაზე, ასრულებს სხვისი სამუშაოს მონიტორინგს და ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დონის აღმწერში არ ჩანს, რომ ამ დონეზე ინდივიდს აქვს დამკვირვებელის, სხვების რუტინული სამუშაოების ზედამხედველობის უნარი.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დონეზე პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურია განთავსებული.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონე აღწერს პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის წავლის შედეგებს

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონე

ცოდნა	**კომპლექსური, სპეციალიზირებული, ფაქტობრივი და თეორიული ცოდნა** სამუშაო ან სასწავლო სფეროში, და ამ **ცოდნის საზღვრების გაცნობიერება**
უნარი	**შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების კომპლექსური სპექტრი,** რომელიც საჭიროა **აბსტრაქტული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებისთვის**
კომპეტენცია	სამუშაო ან სასწავლო **აქტივობების მართვა და ზედამხედველობა,** სადაც შეიძლება მოხდეს **მოულოდნელი ცვლილებები;** საკუთრი და **სხვების შესრულების განხილვა/შემოწმება და განვითარება**

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონე

	პროფესიული განათლების მეხუთე საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული **მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს** პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს **(საზღვრებს)**.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია **შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება** აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული **პრობლემების** ამოცნობა,მათი **გადაჭრისათვის** სათანადო **მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი** სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და **ანგარიშის წარდგენა.**
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა **ცვალებად** და **გაუთვალისწინებელ** ვითარებაში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და **უზიარებს სხვებს.**

ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს მეოთხედან მეხუთე დონეზე სირთულისკენ უცაბედი, მკვეთრი გადასვლაა, თუმცა მეხუთე დონის სწავლის შედეგები ეფუძნება მეოთხე დონის შედეგებს. მკვეთრი გადასვლა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მეხუთე საფეხურის დაკავშირებასთან ევროპული უმღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF/EHEA) პირველ ციკლში მოაზრებულ მოკლე ციკლის შედეგებთან.

როგორც ევროპული, ასევე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონის დესკრიპტორები ხაზს უსვამენ ტექნიკური და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას, მაშინაც კი, როდესაც სხვადასხვა ცოდნისა და გამოცდილების ადამიანებთან ხდება კომუნიკაცია; შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენებით აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრას; სწავლის მიმართულებების განსაზღვრას არაპროგნოზირებად ვითარებაში . ამ დონეზე დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა განვითრებულ ხარისხშია.

ევროპული ჩარჩოს აღმწერებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე საფეხურის აღმწერებში გამოსაკვეთია ინდივიდის სამუშაო ან სასწავლო აქტივობების მართვისა და ზედამხედველობის უნარი.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონე აღწერს პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის სწავლის შედეგებს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონე აღწერს აკადემიური განათლების პირველ საფეხურის (ბაკალავრიატის) წავლის შედეგებს

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონე

ცოდნა	სამუშაო ან სასწავლო დარგის მაღალი დონის ცოდნა, რაც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გაცნობიერებას.
უნარი	უმაღლესი დონის უნარები, რომელიც ახდენს იმ ოსტატობისა და ინოვაციის დემონსტრირებას, რომელიც საჭიროა სამუშაო ან სასწავლო სპეციალიზებული დარგის კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პრობლემების გადასაჭრელად.
კომპეტენცია	კომპლექსური ტექნიკური ან პროფესიონალური აქტივობებისა თუ პროექტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება მუშაობის ან სწავლის არაპროგნოზირებად კონტექსტებში გადაწყვეტილების მიღებაზე და ინდივიდებისა და ჯგუფების პროფესიული განვითარების მართვაზე

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონე

	მოკლე ციკლი - შუალედური კვალიფიკაცია	აკადემიური განათლების პირველი საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	სფეროს მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება	სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას._სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად	სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად
დასკვნის უნარი	შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება

კომუნიკაციის უნარი	იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა
ღირებულებები	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აკადემიური განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის შუალედური კვალიფიკაცია სწავლის შედეგებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე საფეხურის შედეგებს უთანაბრდება და შესამამისად მისი აღწერაც ამავე საფეხურზე უნდა მოხდეს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით სრული მეექვსე საფეხური ნიშნავს ბოლონიის პროცესის პირველი ციკლის - პირველი აკადემიური საფეხურის დასრულებას. საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა აკადემიური განათლების პირველი საფეხურის დასრულების დამადატურებელი ბაკალავრის დიპლომი.

ყველა წინა საფეხურისაგან განსხვავებით, მეექვსე საფეხური ხასიათდება კონკრეტულ სწავლის სფეროში სპეციალიზირებით. ინდივიდს აქვს დარგის მაღალი დონის ცოდნა და აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს. ამ საფეხურზე შემოდის სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, რომლებიც ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრობლემების გადასაჭრელად განახორციელოს კვლევითი პროექტი.

კომუნიკაცია, ამ დონეზე, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას იძენს. პირადი სოციალური პასუხისმგებლობაც კი მიმართულია

სპეციალიზაციის სფეროსკენ. თუკი მეხუთე საფეხურზე სწავლა ხორციელდებოდა გარკვეული დამოუკიდებლობით, სწავლის უნარები ამ დონეზე ისეა განვითარებული, რომ სწავლა და მუშაობა შეიძლება განხორციელდეს დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. სამუშაო კონტექსტში დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის დემონსტრირება ხდება გადაწყვეტილების მიღების საშუალებით, რესურსების ადმინისტრირების, მრავლობითი კომპლექსური ფაქტორების კოორდინირების, კრეატიულობისა და ინოვაციის თვალსაზრისით. სტუდენტი აფასებს სიტუაციას და მოქმედებს პასუხისმგებლობით საკუთარ თავთან, სხვებთან და ორგანიზაციებთან მიმართებით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე საფეხური აღწერს აკადემიური განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) სწავლის შედეგებს

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე დონე

ცოდნა	ვიწრო სპეციალიზებული ცოდნა, რომლის გარკვეული ნაწილი ცოდნის მოწინავე პლანზეა სამუშაო ან სასწავლო დარგში, როგორც ორიგინალური აზროვნების და/ან კვლევის საფუძველი. ცოდნის საკითხების კრიტიკული გაცნობიერება დარგში და სხვადასხვა დარგთაშორის მიჯნაზე
უნარი	პრობლემათა გადაჭრის სპეციალიზებული უნარები, რომელიც საჭიროა კვლევაში და/ან ინოვაციაში, რათა შემუშავდეს ახალი ცოდნა და პროცედურები და მოხდეს სხვადასხვა დარგებიდან ცოდნის ინტეგრირება.
კომპეტენცია	იმ სამუშაო ან სასწავლო კონტექსტების მართვა და ტრანსფორმირება, რომელიც არის კომპლექსური, არაპროგნოზირებადი და რომელიც მოითხოვს ახალ სტრატეგიულ მიდგომებს.პასუხისმგებლობის აღება პროფესიონალურ ცოდნასა და პრაქტიკაში წვლილის შეტანაზე და/ან გუნდების სტრატეგიული მუშაობის განხილვაზე.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე საფეხური

	აკადემიური განათლების მეორე საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
კომუნიკაციის უნარი	დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე საფეხური ასოცირდება ბოლონიის პროცესის მეორე ციკლთან. საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა აკადემიური განათლების მეორე საფეხურის დასრულების დამადატურებელი მაგისტრის დიპლომი.

ამ საფეხურის მახასიათებელია ორიგინალური კვლევა, რომელიც უკავშირდება ისეთ ცოდნასა და უნარებს, რომელიც მოითხოვს ინდივიდისაგან ახალ მულტიდისციპლინარულ გარემოში პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებას. ინდივიდს აქვს განვითარებული ცოდნა და უნარები, რომლებიც საშუალებას აძლევს გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მიღწევები. თუკი მეექვსე საფეხურზე იდივიდი სპეციალიზდება ერთ ან მეტ სფეროში, მეშვიდე საფეხურის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ინდივიდის სპეციალიზაციას მხოლოდ ერთ სფეროში.

წინა დონისგან განსხავავებით მეშვიდე დონეზე ინდივიდის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მაღალ ხარისხშია აყვანილი და გულისხმობს პასუხილმგებლობას სასწავლო თუ სამუშაო კონტექსტში საკუთარი წვლილის შეტანაზე.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე საფეხური აღწერს აკადემიური განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) სწავლის შედეგებს

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე დონე

ცოდნა	ცოდნა სამუშაო ან სასწავლო დარგის მოწინავე ზღვარზე და დარგთაშორის მიჯნაზე
უნარი	ყველაზე მაღალი დონის და სპეციალიზებული უნარები და ტექნიკა, სინთეზისა და შეფასების ჩათვლით, რომელიც საჭიროა კვლევაში და/ან ინოვაციაში არსებული კრიტიკული პრობლემების გადაჭრისათვის და არსებული ცოდნისა თუ პროფესიული პრაქტიკის გაფართოებისა და ხელახლა განსაზღვრისათვის
კომპეტენცია	მნიშვნელოვანი უფლებამოსილების, ინოვაციის, ავტონომიის, სამეცნიერო და პროფესიონალური მთლიანობის დემონსტრირება და სამუშაო ან სასწავლო

	კონტექსტების (მათ შორის, კვლევის) წინა პლანზე ახალი იდეებისა თუ პროცესების განვითარებისადმი უცვლელი სწრაფვა

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე დონე

	აკადემიური განათლების მესამე საფეხური
ცოდნა და გაცნობიერება	დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში
დასკვნის უნარი	ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება
კომუნიკაციის უნარი	ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე
სწავლის უნარი	უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში
ღირებულებები	ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე საფეხური ასოცირდება ბოლონიის პროცესის მესამე ციკლთან. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვითა და დოქტორი ხარისხის მინიჭებით. მერვე საფეხური სპეციალიზაციის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მაღალ დონეზე, ცოდნა ფოკუსირებულია სპეციალიზაციის არეზე და არ მოიცავს მულტიდისციპლინარულ ცოდნას. თუკი მეშვიდე საფეხურზე ინდივიდი გაუთვალისწინებელ მულტიდისციპლინურ გარემოში უახლოესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას, მერვე საფეხურზე, ინდივიდს აქვს უნარი ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის პროცესს და შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები. ამგვარად, მერვე საფეხური გამოირჩევა ცოდნისა და გამოცდილების და უფლებამოსილების უფრო მაღალი დონით სპეციალიზებულ დარგში, რასაც

ამასთან ერთად მოაქვს დარგთან დაკავშირებულ მრავალ პროექტზე პასუხისმგებლობა. მოცემულ საფეხურზე ინდივიდს აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, რომ ფეხდაფეხ მიჰყვეს ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ გამოწვევებს, გააკეთოს მომავალი განვითარების პროგნოზი და წამოაყენოს ინოვაციური იდეები.

გამოწვევები და შემდგომი ნაბიჯები

1. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურის სწავლის შედეგები ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის შედეგებს ითვალისწინებს და ცოდნისა და უნარების პროგრესირების პრინციპით არის წარმოდგენილი, ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს კორექტირებას.

სასურველია, გაანალიზდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შესაბამისობა ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის შედეგებთან. უმაღლესი განათლების სწავლის შედეგები აღიწეროს დუბლინის დესკრიპტორის შესაბამისად.

2. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო სრულად აღწერს საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ კვალიფიკაციებს, რთულია კვალიფიკაციების პროგრესირების დანახვა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში;

სასურველია, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის ერთიანი სტრუქტურით ერთ დოკუმენტში ასახვა.

3. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გამოყენებული ძირითადი ტერმინები არ არის განმარტებული, რაც ართულებს ჩარჩოს, როგორც დამხმარე ინსტრუმენტის გაგებასა და სათანადოდ გამოყენებას დაინტერესებული პირების მიერ;

სარეკომენდაციოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის (Directorate General Education and Culture) მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (The European Qualifications Framework for Lifelong Learning (EQF) წარმოდგენილი ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ძირითადი ტერმინების განმარტება:

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არის ინსტუმენტი, რომელიც იძლევა კვალიფიკაციათა კლასიფიცირების საშუალებას თითოეული კონკრეტული დონის სწავლის შედეგებისათვის შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. ჩარჩოს მიზანია ეროვნულ კვალიფიკაციათა ქვესისტემების ინტეგრაცია და კოორდინაცია, კვალიფიკაციათა გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, პროგრესიისა და ხარისხის გაუმჯობესება შრომის ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად.

კვალიფიკაცია ნიშნავს, შეფასებისა და ვალიდაციის (შემოწმების) პროცესების ფორმალურ შედეგს, რომელსაც ადგენს კომპეტენტური ორგანო ცალკეული ინდივიდის მიერ, სტანდარტების შესაბამისი მიღწეული სწავლის შედეგებით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურის აღმწერი (დესკრიპტორი) განსაზღვრავს შესაბამის საფეხურზე მისაღწევ სწავლის შედეგებს, მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა საფეხურის კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს მათ შორის ლოგიკურ კავშირს.

სასურველია, აღიწეროს და შესაბამისად განიმარტოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტში წარმოდგენილი ტერმინები: „მიმართულება“; „დარგი/სპეციალობა“; „ქვედარგი/სპეციალიზაცია“; „პროფესიული სპეციალიზაციისა“; „მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები“; ,,ძირითადი სპეციალობა“; ,,დამატებითი სპეციალობა“; ,,თავისუფალი კომპონენტები“; ,,პრაქტიკული კომპონენტი“, ,,კვლევითი კომპონენტი“ და ,,სასწავლო კომპონენტები“.

4. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში სწავლის შედეგების აღმწერი მოიცავს ექვს კომპონენტს (ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები).

შემოთავაზებულია აღმწერში ცვლილებების შეტანის სამი ალტერნატიული რეკომენდაცია:

- შენარჩუნდეს ხუთი კომპონენტი არსებული სახით და მხოლოდ „ღირებულების“ კომპონენტი ჩამოყალიბდეს, როგორც „ღირებულება და დამოკიდებულება“.
- სწავლის შედეგები გაიწეროს დუბლინის დესკრიპტორების შესაბამისად ხუთი კომპონენტის მიხედვით (ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი);
- კვალიფიკაციათა აღმწერი გაიწეროს 3 კომპონენტში - ცოდნა, უნარები და კომპეტენციები - ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მსგავსად.

5. კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოცილდეს დანართი №4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი.

6. ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების შედეგები უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი და მესამე საფეხურების კვალიფიკაციათა აღმწერები;

სასურველია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში უფრო დეტალურად აღიწეროს თითოეული საფეხურის მიზნები. საბაზო განათლება აღიწეროს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე საფეხურზე, ხოლო სრული ზოგადი განათლება, ჩარჩოს მეოთხე საფეხურზე.

7. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ/ვერ ასახავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა კვალიფიკაციას;

საქართველოს კანონით ,,პროფესიული განათლების შესახებ“ ასოცირებული ხარისხი არის კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება პროფესიული განათლების მიღების პარალელურად ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად.

იმავე კანონითაა განმარტებული ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა – სხვადასხვა დარგის ცოდნის, შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და სრულდება ასოცირებული ხარისხის მინიჭებით.

დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ასოცირებული ხარისხის ადგილი ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის მიზნით შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით[3] ასოცირებული ხარისხი არის მოკლე ციკლის კვალიფიკაცია და მისი სწავლის შედეგები ჩარჩოს მეხუთე საფეხურის დისკრიპტორების შესაბამისია და წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის. ასოცირებული ხარისხის კვალიფიკაციას ანიჭებენ დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, კანადაში, ავსტრალიასა და აშშ -ში.

8. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ მოიცავს ისეთ კვალიფიკაციებს, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის და ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის;

სასურველია, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი და მეორე საფეხურებზე აღიწეროს ის ზოგადი და პროფესიული კვალიფიკაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის და ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის მათი ცოდნისა და უნარების ფორმალურ აღიარებას.

9. კვალიფიკაციის ზოგადი აღმწერი (პროფილი) არ მოიცავს სრულყოფილ მახასიათებლებს.

2014 წელს ETF -ის გაერთიანებულ კონფერენციაზე, რომლის თემა იყო - „უკეთესი კვალიფიკაციები ETF -ის პარტნიორი ქვეყნებისათვის“, სამუშაო შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ პროფესიული განათლებაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ზოგადი აღმწერი უნდა მოიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- კვალიფიკაციის დასახელება;
- კვალიფიკაციის ტიპი და დონე;
- კვალიფიკაციის საჭიროების დასაბუთება, მოთხოვნის ანალიზი;
- სწავლის შედეგები;
- ვალიდაცია, რომელიც მოიცავს შეფასებასა და სერტიფიკატს;
- ხარისხის უზრუნველყოფის აღწერა;
- კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომპეტენტური ორგანო ან ორგანოები;
- კრედიტების მოცულობა;
- დაშვების წინაპირობები;
- შემდგომი განვითარების შესაძლებლობები;
- კვალიფიკაციის მიღების ალტერნატიული გზები და საშუალებები.

წარმოდგენილი მახასიათებლები გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც პროფესიული, ისე აკადემიური კვალიფიკაციების პროფილების აღწერის დროს.

[3] Short-Cycle Higher Education An International Review.pd;
Qualifications at level 5: progressing in a career or to higher education.

10. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არ არის ასახული ის კვალიფიკაციები, რომელთა მინიჭება დღეს აღარ ხდება: რეფორმამდელი, უმაღლესი პროფესიული, სახელობო, დაწყებითი და საშუალო პროფესიული კვალიფიკაციები და 2010 წლამდე არსებული აკადემიური კვალიფიკაციები;

11. ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განათლების უწყვეტობის პრინციპის დანერგვისათვის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის არსებული ბარიერი, ეგრეთ წოდებული „საგანმანათლებლო ჩიხი“. პროფესიული განათლების სტუდენტები, რომელსაც არ აქვს სრული ზოგადი განათლება, ვერ აგრძელებენ სწავლას განათლების მომდევნო, მაღალ საფეხურზე და არ ხდება პროფესიულ განათლებაში მიღებული კრედიტების აღიარება აკადემიურ საფეხურზე.

სასურველია, შეიქნმას სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული ბარიერის მოხსნას, პროფესიულ განათლებაში მოპოვებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას უმაღლეს განათლებაში და აღიარების პირობებისა და წესის ნორმატიულ დოკუმენტში ასახვას.

12. არაფორმალური განათლების აღიარება დაშვებულია პროფესიული განათლების მხოლოდ I- II-III საფეხურებზე.

არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელი უნდა იყოს ყველა დონეზე და უნდა მოიცვას ყველა კვალიფიკაცია. უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს არაფორმალური განათლების აღიარების მოქნილი და გამჭირვალე მექანიზმები

13. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების დამადასტურებელი განათლების დიპლომის დანართის ვალდებულება;

განისაზღვროს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის დანართის ფორმა და შინაარსი. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც გასცემენ პროფესიულ დიპლომებს, ნორმატიულად განესაზღვროთ დიპლომის გაცემის ვალდებულება.

14. დაინტერესებული პირები (სტუდენტები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, დამსაქმებლები) არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტის თაობაზე.

უნდა შეიქმნას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ინტერაქტიული ვებპორტალი.

15. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში უმაღლეს განათლებაში „მისანიჭებელი კვალიფიკაციების“ პუნქტი (120/ნ ბრძანების დანართი 3, პუნქტი 4), რომელიც აყალიბებს მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირების წესებს, საჭიროებს დამატებითი განმარტებების შეტანას, კერძოდ:

1. დასამატებელია მიმართულებათშორისი დარგების/სპეციალიზაციების (ინტერდისციპლინური დარგების) მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების წესი.

კონსულტაციების შედეგად სარეკომენდაციოდ ორი ვარიანტი შემუშავდა:

ა) კვალიფიკაციის ფორმულირების ეგრეთ წოდებული „ჯვარედინი“ წესი, როდესაც კვალიფიკაციის ფორმულირება ხდება მიმართულებათშორისი დარგების/სპეციალიზაციების სვეტში წარმოდგენილი

დარგების/სპეციალობების ან ქვედარგის/სპეციალიზაციის კვალიფიკაციების კომბინირებით 10 მიმართულებიდან შესაბამისი მიმართულების ან დარგების/სპეციალობების კვალიფიკაციებთან.

ბ) როდესაც კვალიფიკაციის ფორმულირება ხდება მიმართულებათშორისი დარგების/სპეციალიზაციების სვეტიდან მაშინ:

- პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ შესბამისი დარგის/სპეციალობის მითითებით;
- მეორე საფეხურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;
- მესამე საფეხურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი დარგის/სპეციალობის მითითებით.

16. მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში (დანართი 4) წარმოდგენილი კვალიფიკაციები ვერ ასახავს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

საჭიროა დაიგეგმოს და განხორციელდეს ჩარჩოში წარმოდგენილი დარგების მიხედვით სპეციალისტების (ექსპერტების, დამსაქმებლების, დარგობრივი ასოციაციების, განათლების სფეროს წარმომადგენლები) ფართო შეხვედრები და კონსულტაციები, რომლებიც გააანალიზებენ შესაბამისი მიმართულებისა და დარგის ჩარჩოში არსებულ კვალიფიკაციებს და მოახდენენ მათ ფორმულირებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.